

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографш. ВЪ редакшю газ. „Дროаბა“.

გაზეთის ღირებულება: მთელი წლისა—8 მან., ნახევარი წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

სოციალური დემოკრატიის გარდა

ფრომეტი

ცალკე ნომერი ღირს შაურათი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციკროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციის უფლება აქვს გაასწავლოს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

სოციალური დემოკრატია

„ფრომეტი“

ხელის-მოწერა: მთელი წლისა, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8).

შალაქს გარე შე მცხოვრებთათვის აღრესი: ВЪ Типографш. ВЪ редакшю газетш „Дროаბა“.

გაზეთის ღირებულება: მთელი წლისა—8 მან., ნახევარის წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

პირველი აპრილიდან პირველ ივლისამდე გაზეთი ღირს—2 მან. და 50 კაპ. წლის დამლევამდე—6 მანეთი.

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისა, თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამოგზავნილი.

საქართველო

რუსული მნა ჩვენს სასწავლებლებში.

ჩვენს სასწავლებლებში რუსული ენის სწავლება ვალდებულებითია. საჭიროა არის ახლანდელ ჩვენს მდგომარეობაში ვისწავლოთ რუსული.

მაგრამ ამასთანავე იმასაც ცხადია ჰხედავს ყოველი კაცი, რომ ამ ენის სწავლება საძნელოდ რჩება ყმაწვილებისათვის, რადგანაც მისი წაყვანა ითხოვება იმავე პროგრამით, როგორც ბუნებით რუსის ყმაწვილებისათვის და რადგანაც, ამასთანავე, სახელმძღვანელო არა გვაქვს ამ ენის შესასწავლათ ისეთი, როგორც საჭიროა ჩვენი ყმაწვილებისათვის.

შეეცადოთ ამას, ყველა ცხადია ჰხედავს ამ სიძნელეს და ნაკლულევანებას, მაგრამ ამავე დროს ყველა მოკლეთ, ცხადია და თავის უტყუარად იძლევა პასუხს ამ მოკლენისას.

რა ნაირად უნდა მოისპოს ნახსენები სიძნელე? რა ნაირად უნდა დაკმაყოფილდეს ეს ნაკლულევანება სახელმწიფო სასწავლებელში? სულ უბრალოა: მოსამზადებელ კლასში, სდაც უნდა იყოს ისეთი განყოფილება, რომელშიაც შევიდეს წერა-კითხვის უცოდნელი ყმაწვილი, რომ იქ მოამზადონ, იქ დააწყებინონ სწავლა და შემდეგ წაიყვანონ თანდათან წინ. მოსამზადებელ კლასში ამისთანა განყოფილება არ გახლავთ; მოსა-

ზადებელ კლასში უნდა მიიყვანონ ნახევრათ მომზადებული ყმაწვილი, რომელმაც კითხვაც უნდა იცოდეს რუსული, წერაც და ლაპარაკიც, ამასთან კიდევ არითმეტიკა და სხვა.

აი ამნაირად დააკმაყოფილეს პირველ-დაწყებითი სწავლის საქმის მოთხოვნილება საზოგადოთ და მასთან რუსულის სწავლებაც სახელმწიფო სასწავლებლებში. ბანა არ შეიძლება სასწავლებელში იყოს უმცროსი განყოფილება მოსამზადებელი კლასისა, სადა მოუზადებელ ყმაწვილებს შეეძლოს მომზადება? რამდენ ღირს მშობლებს გაეხსნებოდა მაშინ სწავლის გზა თავიანთ შვილებსათვის? სხვაფრივაც გაჭირვებულია ჩვენი ყმაწვილების სწავლის საქმე და ამ გაჭირვებას კიდევ სხვა გაჭირვებაც დაემატა.

რაც შეეხება კერძო პირების ჰაზრს ამ საგანზე, საზოგადოსა და ერთს მიმართულებისას ვერაფერს ვერ ვხედავთ იმაში: ზოგი ასე ამბობს, ზოგი ისე. ბევრთან შქონია ამ საგანზე ლაპარაკი და უმეტესი ნაწილი სახელმძღვანელო წიგნებზე აბოლოებს ლაპარაკს; უმეტესი ნაწილი იმ ჰაზრისაა, როგორც „სწავლა“-ის სტატიის ავტორი — უფ. თავბერა, რომელიც საჭიროა ჰსთვლის იყოს ქართველებისათვის რუსულის შესასწავლათ ისეთი სახელმძღვანელო, როგორც სმიროვის და ძაუნერის სახელმძღვანელოებია.

მე ვფიქრობ, უ. თავბერა სმიროვის და ძაუნერის გრამატიკებზე ლაპარაკობს, რომლებსაც მეთოდია იმაში მდგომარეობს, რომ წინეთ ერთი ვეება სიტყვები უნდა დააზებირებინო ყმაწვილს და შემდეგ ათარგმინო პარაგრაფები. ამას ენახის ის პრაქტიკულ სწავლას.

უ. თავბერა მე აქ მაგალითათ მოვიყვანე; საზოგადოთ სხვებიც ბევრნი არიან ამ ჰაზრის. მაგალითად, რუსული ენის შესასწავლათ ყმაწვილებისათვის მიუცილებელათ ჰსთვლიან კ—ლის სახელმძღვანელოს. სასულიერო სასწავლებელში მაინც ისე სასტიკათ თხოულობენ ამ სახელმძღვანელოთი სწავლებას, რომ მეტი არ შეიძლება. „რუკოვოდსტვოს“ რამდენიმე პარაგრაფის ცოდნა დიდ დოკუმენტათ ითვლება ამ სასწავლებლებში რუსულის ცოდნის დასაბეჭდად.

დიდი ხანია ამნაირის თვლით უყურებენ ამ „რუკოვოდსტვოს“; მაგრამ რაგამოვიდა? აი რა: ყმაწვილი ათავებს

ოთხ-კლასიან სასწავლებელს და არ შეუძლია ორი ჭრება რუსული ერთმანეთს გადაბას, არ შეუძლია უბრალო ქრისტიანობაში რუსული სტატიები წაიკითხოს და თავისი სიტყვით გადმოაცხადოს; ორჯელ-სამჯერ უნდა წაიკითხოს და შემდეგ მოგიყვება, მაგრამ ვაი იმისთანა მოყოლას. მის ლაპარაკს არც ფერი აქვს რუსულისა, არც ზორცი და არც სული. ახლა მიეცით ხელში „რუკოვოდსტვოს“, რომელსაც სამი-ოთხი წელიწადი ზეპირობდა, კაჭკაჭით გადრკაჭკაჭებს, ყველა ფრაზებს გადაგითარგმნის რუსულიდან ქართულზე და ქართულიდან რუსულზე! მსგე შენი „რუკოვოდსტვოს“, რომელიც სწორეთ იმ მეთოდითაა შედგენილი, როგორც სმიროვის, ძაუნერის და მარგოს სახელმძღვანელოები!

პირველი სახელმძღვანელო, რასაკვირველია, საჭიროა; ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია იმას. მაგრამ რანაირი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სახელმძღვანელოს სწავლის დამწყებ ყმაწვილისათვის? ის უნდა იყვეს გონიერული კრება მასალებისა მასწავლებელთათვის, რომ მათ ეს მასალები თავის რიგზე მოახმარონ ყმაწვილების გონებასა, და არა ისეთი კრება, რომელიც უნდა შეეხებოდეს ყმაწვილს ხელში, რომ იმან თავისით ისწავლოს მასწავლებლის ჩვენების შემდეგ.

ბანა შესაძლოა დამწყებ ყმაწვილებისათვის სახელმძღვანელოს მოხმარება; დანიშნულის გაკვეთილების დასწავლა? ამისთანა ყმაწვილებისათვის საუკეთესო სახელმძღვანელო მასწავლებლის ცოცხალი სიტყვაა, რომელსაც ის ვუბნება პირდაპირ ყმაწვილებს; ამისთანა ყმაწვილებმა გაკვეთილი კლასში უნდა დაისწავლონ მასწავლებელთან საუბარში. ამისთანა ყმაწვილებისთვის ენისა და სხვა საგნების სწავლა უნდა მდგომარეობდეს მასწავლებლის მათთან საუბარში. მათ გარე-მოცულ საგნებზე, პირდაპირ ამ საგნებზე ჩვენებით. შეხვეწე ყმაწვილს თითონ საგანი, ან მისი სურათი, შეახვეწე მისი მდებარეობისათვის, მის დამოკიდებულებისათვის სხვა საგანთან, უთხარი ყველა ამავების სახელი, ილაპარაკე თითონ ამავებზე, ყმაწვილებიც გაიყვანე ლაპარაკში, და ეს ჩარჩება მათ გონებაში. საგნის გამოხატულება, მისი მდებარეობა და მისი სახელი მაშინ ერთად დაისადგურებს ყმაწვილის მეხსიერებაში.

მართის სიტყვით, ყოველივენი სასწავლებლოთ მიუცილებელი საქროა დაკვირვებით სწავლა. ამაში მე მტკიცეთ დაწმუნებულნი ვარ, ამაში შემოწმება სამი წლის ჩემი პრაქტიკა. სამი წელიწადია, რაც პატარა ყმაწვილებს ვასწავლი, რომელთაც არც კი გაუგონიათ „რუსკოვდატვოს“ სახელი, მაგრამ სწავლას რიგინათ ასწრებენ. პირველ-დაწყებით რუსულს სწავლაში მათთვის არა მომხმარებია რა გარდა „როდნოე სლოვოს“ რომელიმე სტატიებისა და სურათებისა.

ა. ჰიკინაძე.

28 მარტს, ქუთაისი.

(დასასრული შემდეგში)

დღიური

* * * მართს ნემეცურს გაზეთში დაბეჭდილია ოთხილინი დამგზავნილი კორესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებია მოყვანილი:

როგორც ვეცნობა, რუსები ჯერ კიდევ დარწმუნებული არიან მშვიდობიანობაზედ. აქას ვეიმტკიცებს, სხვათა შორის ის გარემოებაც, რომ აქეთკენ ამჟამად ომისათვის ემზადებიან: სამხედრო მთავრობის განკარგულებით შოთში და სოხუმში გაგზავნეს ახალი დიდრონი ზარბაზნები და სიჩქარით ამაგრებენ როგორც ხსენებულ ქალაქებს აგრეთვე საზოგადოთ შავი ზღვის ნაპირებს, საცა კი მტერს ხმელეთზე გამოსვლა შეუძლიან. სოხუმის მაზრის უფროსად დანიშნეს პოლკოვნიკი პრაკინი, რომელსაც მინდობილი აქვს ისეთ ნაირად გაამაგროს სოხუმი, რომ მეორედ მაინც ვერ შეიძლოს იქ მტერმა გამოსვლა.

* * * როგორც მოგვხსენებთ, მტკვარი ამჟამად გვარნიანად აღიდებულია და გვიტხრის, რომ ამ გარემოების წყალობით, უფ. ძასუმოვის პორაში თავის დროზე ვეღარ გადას და გამოდის მტკვარზედ.

* * * ჩვენ შევიტყვით, რომ უფ. შირიზოვეის ამერიკის ფაბრიკა ეს ერთი თვე არის, რაც აღარ მუშაობს. მიზეზს იმას ამბობენ, რომ რალაც მაშინა გაფუჭებიათ და ოსტატი ვერ უშოვნიათ.

* * * თელავიდან გვწერენ, რომ ამჟამად ადგილობრივი პოლიცია შესდგომია ამ ქალაქის გასუფთავებასაო. შეგლო სახლის-პატრონებისათვის უცნობებიათ, რომ თუ დანიშნულ ვადამდინ თვითონ თქვენ არ გასუფთავებთ თქვენი ეზოები, ფენის-ადგილები და სხვა, მაშინ ჩვენ გასუფთავებთ თქვენის ხარჯითაო. სახლის-პატრონებს უფიქრნიათ, რომ სხვისი ხელით გაკეთებული საქმე ერთმორად უფრო ძვირად დაგვიჯდება და ამიტომ თვითონ ასუფთავებენ თურმე თავიანთ კარ-მიდამოს.

* * * ჩვენ გვაცნობებენ ქვარელიდან, რომ იქაურ სოფლის საზოგადოებას ჰქონ-

ნია იანვრის დამლევს ყრილობა და გადაუწყვეტია, რომ თავიანთ შკოლის მასწავლებლის ჯამაგირისათვის თითოეულმა კომლმა წელიწადში თითო მანეთი გამოიღოს. აშინარად ქვარელის შკოლის მასწავლებელს, რომელსაც გასული წლის განმავლობაში 260 მანეთი ეძლეოდა, ამ წლიდან 520 მანეთი ეძლევაო, რადგან ქვარელში 520 კომლი ითვლებოა.

* * * ლეშეთიდან მივიღეთ ჩვენ შემდეგი შენიშვნა:

მოგვხსენებთ, რომ ჩვენი პატარა ქალაქი რუსეთის გზაზე მდებარებს; ამის გამო ყველა ტრანსპორტებმა ავთომოტოვებით და დაქროლებით უეჭველად ამ ქალაქზე უნდა გამოაზარონ. ამ გარემოებამ გააჩინა აქ სახალი სხვა და ავთომოტოვობა, რადგან ავთომოტოვებს ხმაართ აქ ასვენებენ.

ჩვენი უფლის უფროსი და ექიმი ცდილობენ ამ სნეულების წინააღმდეგ მიიღონ ჯეროვანი ზომები, აწმენდინებენ და ასუფთავებინებენ ქალაქს; მაგრამ ეს ქალაქის გასუფთავების საქმე ჯეროვანად ვერ მიდის; და თუ უფრო ენერგიული ღონისძიება არ იხმარეს, უეჭველია, რომ რალაც ორიოდ სუთი ეცხოვრებთ აქ და ყველანი ამოფუცდებით....

* * * ბუშინ, ხუთშაბათ დილას, ოთხილისის ოლქის სასამართლოდან გამოქცა ერთი ვილაც ტუსალი, რომელსაც სასამართლომ 15 წლით კატორგა გადაუწყვიტა. ტუსალი გაქცეულიყო პირდაპირ ბარმუკისკენ, უკან თოფიანი სალდათები გამოსდევნებოდნენ; ამათ შეეხებნათ, რომ ის ერთი ვილაც მიკიტინის დუქანში ჩავარდნილიყო. იმ წამსვე ეცნენ იმ დუქანს, მაგრამ დიდ ხანს ვერ მო ნახეს. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ის ჩასულიყო სარდაფში და იქიდან ამოათრიეს და ისევ სასამართლოში წაიყვანეს ისიც და მიკიტანიც...

„დროშის“ კორესპონდენცია

ზაქათალა, 26 მარტს. შემდეგ იმ არეულობისა, რომელიც მოხდა ლაღესტანში და მოუახლოვდა ზაქათალის მაზრასაც, შემინებული და აღელვებული ხალხი დამშვიდდა, დიდი და პატარა მიეცენ ჩვეულებრივ მუშაობას: ვაჭრებმა დაიწყეს გულ-მოდგინეთ ვაჭრობა და ცდილობენ შეიმატონ ის ზარალი, რომელიც მოუვიდათ ციხეში ყოფნის დროს; ჩინოვნიკებმაც მოკიდეს ხელი თავიანთს მიტოვებულს კალმებს და დაიწყეს წერა; უფ. ზაქათალის მაზრის უფროსმა სერაფიმოვიჩმა დაიწყო მაზრაში მოგზაურობა შესატყობლად ხალხის მდგომარეობისა და ამკაუთილებს კანონიერს მათს თხოვნებს იქვე ადგილობრივ; აგრეთვე დაიწყეს მაზრაში ყოველის გზების გაკეთება და გასუფთავება.

მართის სიტყვით, რუსები რომ იცვიან, ღუღს მუშაობა მაზრაში. აი ამ მდგომარეობაში და შრომაში

რომ არის მთელი თითქმის ზაქათალის მაზრის მცხოვრებელი, მტკიცედ ზაქათალის მოლიციონის პოლიციონისა-წერია კალმით ის მდგომარეობა ხალხისა, რომელიც იყო ამ დროს. აქ ნახვით ბევრს მამასა და ცოლსა დიდის სიხარულით სავსესა, როდესაც მამაშვილს ხედავდა და ცოლი ქმარს შვილობით დაბრუნებულს ბრძოლის ველიდამ; აგრეთვე შეხედბოლით მამასა და ცოლსა თავის წვროლ-შვილებით ატირებულსა და აღავებულსა, როდესაც ვეღარ ხედავდნენ მობრუნებულსა ვისაც მოელოდნენ.

ამავე დროს მოვიდა ზაქათალაში ამ პოლკის უმთროსი და მოიყვანა თანა მეზურნები ამავე პოლკისა. მართს დროს, როდესაც სადილობამდინ ამ უფროსისას მოისმა აგრ დუღუკის ხმა და შემდეგ ზურნისა! ხალხნი გამგონი ამ ზურნის ხმისა, გამოეფინენ სასერნო მოედანზედ (სახლი სადაც უჭრავდა ზურნა, იმყოფება მაედნის პირზედ) და ისმენდენ დიდის კმაყოფილებით თავიანთს ქვეყნის საკრავის ხმასა (შემეტყვის ნაწილი მცხოვრებელნი ზაქათალისა არიან სომხები).

რამდენიმე დღე ზედი-ზედ იყო ზურნის კვრა და ქეიფობა. იკითხავს მკითხველი: ვინ უნდა ყოფილიყო ეს მოქიფები? რასაკვირველია, უნდა ყოფილიყვნენ ქართველები. მართლაც, ესენი იყვნენ სამხედრო სამსახურის აფიცრები ქართველები. საკვარველი ხალხნი არიან ეს ქართველები! რაც უნდა მოუვიდესთ, მაინც არ მოიშლიან თავიანთს გულუხვობას, მზიარულებას, პურ-მარილობას, პატაჟობას და ფულებს თესვას. (მათვიაება შეეხება უფრო ჩვენ მაღალწოდების ქართველებსა). სწორეთ ესენი ასრულებენ ნამდვილათ ერთს სამღეთო წერილის სიტყვასა: ანუ იზრუნეთ ხვალისათვისაო.

შემდეგ ამისა მოვიდა ზაქათალაში შირვანის პოლკის ერთი ბატალიონი, და მეორეს დღეს უ. ბატალიონის კომანდირის ბრძანებით დაუკრეს პოლკის მუზიკა მაედანზედ. რადგანაც ამისთანა პატარა ქალაქში, როგორც ჩვენი ზაქათალაა, პოლკის მუზიკა შეადგენს იშვიათს მოვლენას, ამიტომ ზაქათალის საზოგადოება გამოვიდა სასერნოთ მაედანზედ.

შველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული: ამ ბუნების კანონის ძალით, ზაქათალის სიძვიარულებსაც მოელობოლო და მცხოვრებლები მიეცნენ ყველა თავიანთს მუშაობას. ხალხი ჩინოვნიკები მოელიან მოუთმენლად თცხ რიცხვს; ეს მეოცე რიცხვი თვისა შეადგენს ჩინოვნიკებისთვის დიდს სიხარულს და დიდს იმედს, რადგანაც ამ დროს მიღებენ ხალხმე ჯამაგირს.

ამ რამდენიმე დღის წინეთ ჩვენს ზაქათალაში მოხდა ერთი უბედურება: როგორც ლაპარაკობენ, ერთმა აქურის პოლიციის ჩინოვნიკმა დაიწყო სახლების შენება, და ამ შენობის დროს გადმოწოლილა კედელი და კინაღამ შიგამოუხრესია ყველა მუშები; ერთი

მათგან კიდევაც მიბრძანებულა საიქიანო...
სა და ორი კი ჯერაც მიძიმეთ ავით არიან. პოლიცია იმისთანა ორგანოასახელმწიფოასი, რომელსაც ვალი აქვს უკლას ყური მცხოვრებლებს და დარცვას ყოველის კულის საქმისგან; ამ ჩვენმა პოლიციის ჩინოფნიკმა კი ასე დაუგო მახე ამ საბრალო მუშებსა...

ზაქათალელი ბეორქა.

ოქის აზებუი

ოქის უაფავ

ზრანცუზულს გაზეთის „Le Temps“-ში იწერებთან არზრუმიდამ:

„აქ მოვიდა ოქილისიდამ გამოგზავნილი სანიტარული კომისია, რომელმანც აღმოაჩინა, რომ თვითონ არზრუმიში და იმის არე-მარე ადგილებში 20,000 კაცის გვაში არის დამარხული და ისე ცუდათ, რომ ერთი ხეირიანი წვიმა რომ მოვიდეს, ადვილად გარეცხავს მიწას და ამ გვამებს ამოჰყრის მიწიდან. ამისია შეუდგა ახლავე მეცადინეობას, რომ ეს გვამები ან უფრო ღრმათ ჩამარხოს მიწაში და ან კირი დაასხეს სასაფლაოებს ზემოდამ, რომ ამნაირად ზაფხული როცა დადგება, ამის სუნმა არ გააფუჭოს ჰვეა და სხვა-და-სხვა ავათ-მყოფობა არ გააჩინოს.“

ნემეცური გაზეთი „Presse“ შემდეგ ამბავს გვაცნობებს ლენ. იუნატიევის ვენაში მოგზაურობის შესახებ:

„ლენ. იუნატიევი ამ დღეებში დაბრუნდება უკან ვენიდან. შეელასთვის ცხადად აღმოჩნდა ახლა, რომ იმან აესტრიასთან ვერა გაარიგარა; აესტრია თხოულობს, რომ რუსეთმა სრულებით შესცვალოს სან-სტეფანოს მორიგების პირობები; უამისოთ ის იძულებული იქნება ინგლისს მიეძხროს.“

ინგლისის ოფიციალური გაზეთი „Morning Post“ ასე სჯის ინგლისსა და რუსეთს შუა მომავლის ომზე:

„ზოგიერთები ამბობენ, რომ რუსეთისა და ინგლისის ომი მამოლისა და იხვის ომს ემსგავსება, რადგან რუსეთი ზღვაში ვერ შეეცილება ინგლისს და ინგლისიც თავის მხრით ხმელეთზე ვერას დააკლებს რუსეთსაო.“

„შემცდარი არიან, ვინც ასე სჯიან: ინგლისს შეუძლიან ყოველის მხრით ავნოს და აზარალოს რუსეთს; იმას შეუძლია მოუსპოს, რუსეთს ვაჭრობა, შეუქრას ყველა ნავსადგურები, მიადგეს ყველა ზღვის ნაპირებზე და არ მოასვენოს, აიკლოს ყველგან პრონ-შტატიდამ დაწეპილი ოღევაძლი.“

„ამას გარდა ინგლისს შეუქლია აუჯანყოს რუსეთს საშუალ აზიის ხაღხები და ამით ახალი დაბრკოლება ამოუჩინოს.“

ნუ დაივიწყებთ, ამბობს ბოლოს ეს გაზეთი, რომ ინგლისი მდიდარია და, თუ ერთხელეე გაემა ომში, სანამ უკა-

ნასკნელი ღონე და კაპეიკი არ გამოელევა, მანამ არ მოეშვება მტერსაო. საქმე იმაშია—ჩვენ, ინგლისელებს, თუ რუსებს უფრო ადრე გამოელევათ ეს ძალა და ფულიო.“

„მოსკოვის უწყებებში“ იწერებთან სტამბოლიდამ 21 მარტს:

„იზმიდში გაჩერებულ ინგლისის ფლოტს თითქმის მუდამ დღე ახალიზომალდები სხვა-და-სხვა საომარ მასალეებითა და პრაევიანტი დატეირთულები მოსდის. შევლა ამ ხომალდებზე ჯარები არიან.“

„მარმარილოს ზღვის აზიის ნაპირზე ოსმალეები ჯარებს ამზადებენ. ამას გარდა ქალაქა იზმიდში ოსმალეებს ჰვეათ 7,000 კაცი ჩერქეზის ჯარი.“

ამავე გაზეთში ვენიდან მოსული დეპეშა არის დაბეჭდილი, რომელიც გვაცნობებს, რომ სალსბერის ცირკულიარის მიღების შემდეგ აქ ყველანი დარწმუნებული არიანო; რომ აესტრია ინგლისის მხარეს დააჭერსო. შევლაზე უფრო აესტრო-ვენგრისს ამას გარდა ის ამხნევებსო, რომ ბერმანია აღმოსავლეთის საქმეების შესახებ სრულებით თანხმია აესტრიისა და ინგლისისო.

ინგლისის მმართველობის ოფიციალურს გაზეთში გამოცხადებულია მოროლევის ბრძანება რომლის ძალითაც რეზერვის ჯარის სალდათებს აცნობებენ, რომ 7 (19) აპრილისათვის უნდა გამოცხადდეთ იქ საცა სამხედრო მინისტრისაგან გექნებათ დანიშნული ადგილიო.

სტამბოლელი კორესპონდენტი გაზეთის „Голос“-ია იწერება შემდეგ ამბავსა:

„აქაურ ინგლისელ ელჩს ლეიარდს ხშირი მისვლა-მოსვლა და მოლაპარაკება აქვს ოსმალეთში გადმოსახლებულ ჩერქეზებთან. ია შეეკრა პირობით მუსსა-ფაშა ა ოი, შაზი-მამას (შამილის შვილს), იზრაიმ-ფაშას და სხვებს, რომელთაც აღუთქვეს მას, რომ თუ საჭირო იქნება, ჩვენს თანამემამულეებში მოვაგროვებთ მხედრობას და რუსეთის წინააღმდეგ ომში მოგვხმარებთო. ლეიარდი, რასაკვირველია, მაგიერად ფულებსა და სხვა ყოველგვარ შემწეობას პირდება ჩერქეზებსა და აფხაზებს დასასახლებელ ადგილის ამოჩევაში.“

„მე დამარწმუნეს, რომ ინგლისის ხარჯით აგროვებენო ამ ქაშად 50,000 ჩერქეზისა და აფხაზის ჯარს, რომელიც მცირე აზიაში (სომხეთში) უნდა გაგზავნონ რუსეთის სამხედროსა კენაო.“

„Indep. Bege“-ში დაბეჭდილია ლონდონიდან მიღებული დეპეშა, რომელიც გვაცნობებს, რომ ინგლისს მთავრობამ მოახდინა განკარგულებაო, რომ ინდოეთის მაჰმადიანებში მოიკრიბოს ჯარი და ომისათვის დამზადებული იყოსო.

გაზეთს „Times“-სში იწერებთან ამერიკიდან (ნიუიორკიდან):

„რუსეთი ჩუმ-ჩუმად ჰქედულობს ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვა-და-სხვა საომარ იარაღებს და ზიდავს თავის ქვეყანაში. ამ დღეებში ორი ხომალდი გაგზავნეს აქედამ რუსეთისათვის თოფებითა და თოფის-წამლით დატეირთულიო.“

„მაგიერად ინგლისსაც არ სძინავს; ამბობენ, რომ ჩვენი (ინგლისის) სამხედრო სამინისტროს განკარგულებით ამას წინათ 16,000 ცხენი უყიდნიათ ამერიკას რესპუბლიკის სხვა-და-სხვა ალაგებში და ძაწალაში წაიყვანესო.“

კონგრესი

ზრანცუზული გაზეთები გვარწმუნებენ, რომ ახლანდელ სამინისტროს საფრანგეთისას გადაწყვეტილი აქვსო, რომ თუ ვინიკობაა რუსეთმა წარუდგინა იმას სან-სტეფანოს მორიგების პირობა, ის არ აღიარებს ამ პირობის ძალასაო, სანამ მეროპის სხვა ყველა უმთავრესი სახელმწიფოები არ აღიარებენო.

ამავე გაზეთების სიტყვით, საფრანგეთმა გამოცხადა აგრეთვე რუსეთს, რომ მხოლოთ იმ შემთხვევაში გაგზავნის ის თავის წარმომადგენელს კონგრესზე, თუ იმაზე დაესწრება წარმომადგენლები მეროპის ექვსი უმთავრეს სახელმწიფოებისა, რომელთაცა 1878 წლის პარიფის ტრაქტატზე ხელი აქვსთ მოწერილი.

ამგვარისავე ჰაზრის არის თურმე იტალიის მმართველობაც კონგრესში მონაწილეობის შესახებ.

შველა ეს ვარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ ბერლინში კონგრესი არ მოხდება.

„Indep. Belge“-ში დაბეჭდილია პარიფიდან მიღებული კორესპონდენცია, რომლის ავტორი ამბობს, რომ ზამმეტტა დარწმუნებული არისო, რომ, თუ რუსეთსა და ინგლისს შუა ომი ატყდა, გარემოება ისე მოთავსდებაო, რომ საფრანგეთი, ინგლისი, აესტრია და იტალია ერთად იქნებიან და ერთმანეთის თანხმობით იმოქმედებენო.

უხხო ქვეყნები

ინგლისი

შველა უცხო ქვეყნის გაზეთები, რომელნიც უკანასკნელი ფორტით მივიღეთ, იმ ცირკულიარზე ლაპარაკობენ, რომელიც ინგლისის უცხო ქვეყნის საქმეთა ახალს მინისტრს (დერბის მოადგილეს) მარკიზ სალსბერის გაუგზავნია ინგლისის ელჩებისათვის, აღმოსავლეთის საქმეების თაობაზე.

საზოგადო ჰაზრი ამ ცირკულიარისა ის არის, რომ სან-სტეფანოს მორიგების პირობაში თითქმის ერთი მუხლიც არ არის ისეთიო, რომელიც არათუ მარტო ინგლისს, მთელ მეროპას არი შეეხებოდესო; ამ პირობიდან ცხადათ სჩანს რუსეთის განზრახვაო, რომელსაც ჰსურს

მიხაილოვის სადგილ-მამულო ბანკისაგან

თავ-მჯდომარე მიხაილოვის თავად-პანაურთა სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი პომიტეტისა, წესდების § 79-ის და ზედამხედველი პომიტეტისაგან ბებერვალს 1878 წ. დადგენილს გარდაწყვეტილებებისა ძალით, მოაწვევს იმ პირთ, რომელთაც აქვსთ უფლება მონაწილეობის მიღებისა ბანკის შესახებ საზოგადო კრებაზედ, პირველს ჩვეულებრივს საზოგადო კრებისათვის, რომელიც დანიშნულია ამა 1878 წ. 26 აპრილს, დილის 11 საათზე, ბანკის სადგომზედ, ქ. შუთაისს თ. პ. ნიჯარაძის სახლში.

განსახილველი საგნები:

- 1) ბანხილვა და დამტკიცება მიხაილოვის სადგილ-მამულო ბანკის წასრული დროის ანგარიშისა.
- 2) აღმორჩევა ზედამხედველი პომიტეტის ორი წევრის, იმ ორ წევრთა შორის, რომელნიც წილის-ყრით უნდა გამოვიდნენ პომიტეტისაგან (§ 76).
- 3) ბანხილვა და დამტკიცება მიხაილოვის ბანკის დამფასებელთ ინსტრუქციისა.
- 4) ბარდაწყვეტილება თბილისის მაზიონნი პალატის მოსამსახურე პირთა დაჯილდოების შესახებ ბანკის ფულების შენახვისათვის.
- 5) ბანკის წესდების ზოგიერთი მუხლების (§ §) შეცვლა და დამტკიცება.
- 6) ბარდაწყვეტილება ცვლილებისა სმეტით დანიშნულ ხარჯებში.
- 7) ფულის შემოტანის დროებზე ბანკის იმ მოვალე პირთა თხოვნით, რომელნიც იღებენ მონაწილეობას ოპში.
- 8) ბანხილვა და დამტკიცება საქმის წარმოების ინსტრუქციისა საზოგადო კრებაში.
- 9) ხელმოწყვეტ. (?) ფულის დანიშვნა ორი სტიპენდიისათვის.
- 10) დანიშნულება იმ ბანკის წმინდა შამოსაგლისა, რომელიც ირიცხების დასაკმაყოფილებლად საზოგადო საჭიროებათა.
- 11) ბარდაწყვეტილება მონაწილეობისა, რომელიც ბანკმა ჯერ-არს მიეღოს რუსეთის სადგილ-მამულო ბანკთ წარმომადგენელ კრებაში.

(1—1)

მსმალეთი დაამტკიცოს, თავის ყურადღებით უნდა განხილოს და ამასთანავე იქონიოს ძლიერი გავლენა სლავიანურ სახელმწიფოებზედა; თუ ევროპამ აღიარა და დაამტკიცა სან-სტეფანოში მსმალეთსა და რუსეთს შუა შეკრული პირობა, მაშინ რუსეთი სრული ბატონი იქნება შავს ზღვაზე, იმას იქნება გავლენა თვით ირანის საზღვრებზე, იმის ხელში იქნება ინდოეთის გზა, ბათუმი და სხვ. და ამიტომაც, ამბობს მარკიზი სალსბერი, ინგლისი არასოდეს არ დათანხმდება, რომ ეს პირობა, რომელიც ასეთს ძალას აძლევს, რუსეთსა და რომელსაც უნდა ირანო ზარალის მოტანა შეუძლიან ევროპისა და განსაკუთრებით ინგლისისათვის, კანონიერად აღიაროს და შეუცვლელად მიიღოს.

მართის სიტყვით, ინგლისის უცხო ქვეყნის საქმეთა ახალი მინისტრის აზრით სრულიად ეთანხმება ძველ მინისტრისას (დერბისას); განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სალსბერი უფრო ენერგიული და გარკვევით აცხადებს ამ თავის ჰაზრს ინგლისის ინტერესებზედ.

ინდოეთის მთავარ-მმართველს ლორდ ნეპირს უცნობებია ინგლისის სამხედრო სამინისტროსათვის, რომ, თუ საჭიროება მოითხოვს, ინდოეთიდან შეგვიძლია ჩვენ 200,000 ისეთი ჯარი გამოვიყვანოთ ბრძოლის ყელზე, რომელიც რუსეთის ჯარს არ ჩამოუდგება უკან მხნეობითა და სამხედრო საქმეში გაწრთვნილობათა.

განცხადება

აბრაშუმის ვიის თხელი (კვერცხი) იტალიის მოდგმისა, სალი ისყიდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (აღლესანდროვის ბაღში, უფ. მირსკის პირ-და-პირ).
შასნი თითო მისხლისა მძვნი შაური

გამოვიდა და ისყიდება

„სოლი ვიტირო, თუ ფული?“

პომედია აღ. თუ თა ევისა ისყიდება: ძალაქში—ყველა წიგნის მალაზიებში და აღექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ტუმანაშვილთან, ძარელს—დავით შეროჩაშვილთან, ხაშურისა და ბეჟათუბნის უწყეტში, სურამს—ზაქარია არუ-

წოვთან, შუთაისს—იაკობ მკანეწოვთან და სვ. ცერვაძესთან შოთ შო—მლისბარ ბაბლოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქაძეოვთან, საქაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ბორჯომი—სტ. ზომოვეთან და თვითონ ავტორთან.

რპ. ზნა.	დლა.	სალა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მაკაბ	გაზანდა	მაკაბ	თფილისის სამეურნეო
თფილისი	9 21	5 18			მ.ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 30 მარტი.		მრეენის მედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა	10 11	6 27	68	38	მუთისს, შოთს	1	შქე. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1 70	აგათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8—10 მდინ.
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, დუშეთს, სიღნაღს	50	შქვილი წითელი	1 50	მ. რ შ ა ბ ა თ ს: მინკვერნი—ხირუ-
ხ.შური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსას, მოსკოვს	2	მერი ფუთი	1 40	რგი, ლისიცივი—შინაგ. აგათმყოფ.
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, შარშავას	2	ბაშბა მრეენისა, ფუთი.	7 50	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვიე და
შვირილა	5 49		5 81	3 23	მსმალეთში, შვეიცარიაში	3	— შემოქიბსა, ფუთი	8 05	მარქაროვი—შინაგ. აგათმყოფობის,
რონი	6 47		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაშენტილი ბაშბა ფუთი.	10	თამაშვეეი—თვალის.
სამტრედია	7 41		7 73	4 29	ინგლისში	3 75	მატული თუშური ფთ.	8 20	მ. თ ს შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი—ში-
ახ.-სენაკი	—		8 57	4 76	ფოშბა		—თარაქამისა ფთ.	4 30	ნაგანი აგათმყოფ, შიურჩიანიცი—ვე-
შოთი	9 40		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთისს, რუსეთს—ყოველ დღე		აბრეშუმბი ნუბური სტ.	2	ნერიულის.
შოთი	9 13				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ძონი, ფუთი.	6 20	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვიე—შინა-
ახ.-სენაკი	—		1 18	66	მ.ზურ.—პარასკ. და ორშ. ძაბეთს—		ძონის სანთელი ფუთი.	8	განი აგათმყოფობისათვის.
სამტრედია	11 16		2 6	1 14	სამშ. და შაბ. ბ) მუთისიდან:		სტეარინის სანთელი, ფ.	12 80	პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და შა-
რონი	12 13		3 4	1 69	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		—ცხვრისა, ლიტრა	1 8	ტუროვი—შინაგ. აგათმყოფ. და მინ-
შვირილა	1 18	ლაქე	3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მ.ზურგეთს—		სპირტი, ვედრო	5 20	კვერნი—ხირურგ.
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		შაქარი, ბროც. ფუთი	8 20	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვიე და მარქა-
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გავზაენარუსეთში	კაბ.	—ფხვნილი ფუთი	6 20	როვი—შინაგანი აგათმყოფობის, შიურ-
ბორი	7 5	4 8	3 6	4 9	და სამზღვარ გარეთ:		შავა გრგვალი, გირგ.	— 70	ძიურჩიანიცი—ყურის და ხირურგოვლ
მცხეთა	8 50	6 59	9 8	5 4	ლაწიგნის	4	შვიტი ქუჩუჯუთისა ფუთ.	12	აგათმყოფ. და თამაშვეეი—თვალის.
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42	დაბეჭდილის (ხამი მისხალი)	8	თამაშვეეი, საშუალო ფუთი	8 55	